პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
21 აპრილი
1944 წ.
№ 81 (7025)
ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 19 და 20 აპრილის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ზურგის ადამიანების შრომა და გმირობა. „პრავდის“ 19 აპრილის მოწინავე (მე-2 გვერდი).

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ რკინიგზის ტრანსპორტზე. თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვერდი).

მოვაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში! (1-ლი გვერდი).

ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მუშაკების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით (1-ლი გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავზე თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა რკინიგზის ტრანსპორტის დამსახურებას ფრონტის წინაშე.

რკინიგზის ტრანსპორტს სამართლიანად უწოდებენ წითელი არმიის ღვიძლ ძმას. სამამულო ომის დღეებში სოციალისტურმა ტრანსპორტმა ღირსეულად დაამართლა ეს მაღალი შეფასება. საბჭოთა რკინიგზელებმა, როგორც ფრონტისპირა რაიონებში ისე ზურგში თავდადებული მუშაობისა და გმირული ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს. ბევრ მათგანს მთავრობის უმაღლესი ჯილდოები გადაეცათ.

„ტრანსპორტი წარმოადგენს კონვეიერს,—გვასწავლის დიდი სტალინი,—სადაც მნიშვნელოვანია თვითეული მუშაკის, თვითეული ხრახნის მუშაობა“. ამიტომ საჭიროა მისი „ყველა ნაწილის შეწყობილობა და მათი მუშაობა მკაცრად განსაზღვრული წესით. ეს არის ის, რასაც ეწოდება დისციპლინა ტრანსპორტზე“. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ არის მიმართული მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე.

სამამულო ომის ვითარებაში ჩვენს რკინიგზებზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა პოლიტგანყოფილებათა გაუქმების შემდეგ გააძლიერეს დახმარება ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციებისადმი. რკინიგზელთა საწარმოო აქტივობის ზრდამ, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლებამ შედეგად მოგვცა ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცება. ფართოდ დაინერგა კრეონოსულ-ლენინური მეთოდებით მუშაობა, მოეწყო ფრონტული, კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადები, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციულ - ტექნიკური ღონისძიებანი. ყოველივე ამის შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზა წარმატებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს.

ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში მიღწეულებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. ეს ნათლად გვიჩვენა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში 18 აპრილს ჩატარებულმა თათბირმა. თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა ბოლმეჯური შესრულება უზრუნველყოფს ტრანსპორტის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ფრონტისადმი რკინიგზელთა დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებას.

რა ძირითადი ნაკლი ახასიათებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას რკინიგზის ტრანსპორტზე?

პარტიის ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას რკინიგზის ტრანსპორტს, მის თვითეულ რგოლს, ყოველმხრივ დახმარებას ვერ უწევს ტრანსპორტის პირველადს პარტორგანიზაციებს, იშვიათად ისმენს ბიუროზე მათს საანგარიშო მოხსენებებს, არ ხდება პარტიული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ საველე სადგურების პირველადი პარტორგანიზაციები (მაგალითად სვირი, იანეთი). ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია არ აწარმოებს სათანადო მუშაობას მოწინავე რკინიგზელთა პარტიაში მისაღებად, არადამაკმაყოფილებლად ეხმარება ახალგაზრდა კომუნისტებს, ნაკლებად ზრუნავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მათი ჩაბმისათვის, კრებებს მოუმზადებლად ატარებს, არ ხელმძღვანელობს აგიტატორებს.

ამიერკავკასიის რკინიგზელებს ყველა პირობა აქვთ უახლოეს ხანში აღმოფხვრან ნაკლოვანებები პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში, კვლავ დაიმრუნონ პირველობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა რკინიგზის ტრანსპორტის პირველადი პარტორგანიზაციებისადმი. საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები ხშირად უნდა მიდიოდნენ ტრანსპორტის საწარმოებში, დროზე ამხილებდნენ ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში და ტრანსპორტის პარტიულ, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ღებულობდნენ ზომებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გზათა სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ბრძანებების შესრულებას.

ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ტვირთების დაკარგვის, მექრთამეობის, მგზავრებისადმი უკულტურო, უხეში დამოკიდებულების წინააღმდეგ, გასწმინდონ რკინიგზა უღირსი ელემენტებისაგან, სათანადო წესრიგი დაამყარონ ტრანსპორტის საწარმოებში, განსაკუთრებით სადგურებში. საჭიროა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, ფართოდ გავრცელდეს კრეოონოსულ-ლენინური მეთოდებით მუშაობის გამოცდილება.

პარტიულმა, პროფესიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ტრანსპორტზე საბჭოთა წესების შემოღების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მტკიცედ განხორციელება და ყველა რკინიგზელის მიერ შრომის რკინისებური დისციპლინის დაცვა.

გადაჭრით უნდა ამაღლდეს პარტიული კრების ჩატარების ხარისხი, გაძლიერდეს პარტიული ჯგუფების, სამეროებისა და ცვლების პარტორგანიზაციების მუშაობა და სათანადო წესრიგში იქნას მოყვანილი პარტიული მეურნეობა. პარტიული ჯგუფები და საამქროების პარტორგანიზაციები კარგად უნდა ჩასწვდნენ თავიანთი საამქროს, ცვლის, უბნის, ბრიგადის მუშაობის ყოველ დეტალს, მათ უნდა დარაზმონ მასები საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა უპარტიო მასაში, გაუმჯობესდეს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მოწინავე, **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული რკინიგზელების მიღება.

პარტიაში ახლად მიღებულთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით საჭიროა აღდგენილ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრეების მუშაობა. ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაეწიოთ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერებისათვის საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს აგიტატორ-პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, მათდამი ხელმძღვანელობა-დახმარებას. უნდა გაუმჯობესდეს კლუბების, წითელი კუთხეების, თვითმოქმედი წრეების, რადიოს მუშაობა, მოეწყოს საგაზეთო ვიტრინები, გამოცოცხლდეს კედლის გაზეთები.

რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე სამამულო ომმა უაღრესად პასუხსაგები ამოცანები დააყენა. ამ ამოცანებს საბჭოთა რკინიგზელები ღირსეულად ასრულებენ.

და ახლა, წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებათა დღეებში, როცა ჩვენი ჯარები დიდი **სტალინის** გრძნეული მხედართმთავრობით წარმატებით შეტევას განაგრძობენ, ქვეყანა, ფრონტი ყველა რკინიგზელისაგან — მემანქანეა ის თუ დისპეტჩერი, ცეცხლფარეში თუ მეისრე, შემდგენელი თუ ლიანდაგის შემომვლელი — მოითხოვს: გააორკეცოს და გაასამკეცოს ენერგია, უკეთესად იმუშაოს, ვიდრე აქამდე.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებით ამიერკავკასიის რკინიგზელები, რომლებიც დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი არიან ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მიერ, მიაღწევენ ახალ მძლავრ აღმავლობას რკინიგზის ტრანსპორტზე!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 აპრილის ოპერატიული ცნობიდან

19 აპრილს განმავლობაში ქალაქ სტანისლავის აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ და იგერიებდნენ ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს.

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ **დნესტრის** მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმების გასაფართოებლად და პოზიციები გაიუმჯობესეს.

სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ, რომელთა მსვლელობაში განდევნეს მოწინააღმდეგე მისი თავდაცვის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავთა მოქმედებაა.

18 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა რკინიგზების კვანძ ლვოვზე

18 აპრილს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა რკინიგზების კვანძ ლვოვზე და დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი ეშელონები ჯარებიანად და ტექნიკიანად. დაბომბვის შედეგად 40-მდე ხანძარი გაჩნდა—იწვოდა ეშელონები საჭურვლიანად, ჯარებიანად და ცისტერნები საწვავიანად. ხანძრებს თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი. ჩვენი მფრინავები, სამიზნედან რომ ბრუნდებოდნენ, ხედავდნენ ხანძრათა ალს 150 კილომეტრ მანძილიდან.

ერთი ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე არ დაბრუნებულა.

20 აპრილის ოპერატიული ცნობა

20 აპრილის განმავლობაში ქალაქ ნარვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პლაცდარმზე ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშები. ბრძოლებში გაულეტილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ **ტარნოპოლის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც მოწინააღმდეგე განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

ქალაქ **სტანისლავის** აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

19 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 65 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს რეზეკნეს, გულბენეს და ფიქალასპდელ ქარხანას სადგურ კიბეილზე.

19 აპრილს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ რეზეკნეს და რკინიგზის კვანძ გულბენეს (ლატვიის სსრ) და დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი სამხედრო ეშელონები. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

იმავ ღამეს ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს ფიქალასხდელი ქარხანა რკინიგზის სადგურ კიბეილზე (ესტონეთის სსრ). გაჩნდა ხანძრის ხუთი დიდი კერა, რომლებიც ქარხნის თითქმის მთელ ტერიტორიას მოედო.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომებზე დაბრუნდა.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია ურტყამს მოწინააღმდეგის ხომალდებს

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია განუწყვეტლად ურტყამს მოწინააღმდეგის ხომალდებს სევასტოპოლსა და რუმინეთის ნავსადგურებს შორის არსებულ კომუნიკაციებზე.

17 აპრილს ღამით საბჭოთა ბომბდამშენებმა და ტორპედონოსებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემთა ორ ქარავანზე და ჩაძირეს 3.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და 2.200 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

18 აპრილს დღისით ჩვენმა მფრინავებმა ზღვაში აღმოაჩინეს მტრის გემთა კიდევ ორი ქარავანი და იერიში მიიტანეს მათზე. ერთი ქარავნის შემადგენლობიდან ჩაძირულია 5.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი. მოწინააღმდეგის გემთა მეორე ქარავანს საბჭოთა მფრინავებმა ოთხჯერ დაარტყეს ზედიზედ. ბომბების პირდაპირი მოხვედრის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა და სვლის უნარი დაეკარგა 5.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტს. შემდგომი დარტყმებით ეს ტრანსპორტი ჩაძირულ იქნა. ჩაძირულია ავრეთვე ერთი ნაღმოსანი, სერიოზული ზიანი მიეყენეთ მოწინააღმდეგის სამ ტრანსპორტსა და სხვა პატარა გემებს.

❖ ❖ ❖

ქალაქ ნარვის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს ჯარებზე, რომელთაც პლაცდარმი უკავიათ მდინარე ნარვის დასავლეთ ნაპირზე. იერიშებს წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო მომზადება. საათნახევრის განმავლობაში მოწინააღმდეგმა ათობით საარტილერიო ბატარეა უშენდა საბჭოთა პოზიციებს. შემდეგ გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდი ძალები ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დახმარებით იერიშზე გადმოვიდნენ. ჰიტლერელები, ალბათ ვარაუდობდნენ ერთი დარტყმით მოესპოთ ჩვენი ოგდაცვა, მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ. საბჭოთა მებრძოლები გერმანელთა შემომტევ კოლონებს თოფ-ტყვიამფრქვევებისა და საარტილერიო-სანალმტყორცნო მარჯვე სროლით შეხვდნენ და მოწინააღმდეგე აიძულეს უკან დაიხია. დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა სხვადასხვა უბნებზე მოიგერიეს მტრის მრავალი იერიში და მტკიცედ ინახავენ თავიანთ პოზიციებს. მოწინააღმდეგეს ძალიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

საბჭოთა მეზენიტეებმა მოიგერიეს გერმანელთა ავიაციის იერიშები და მოსპეს მოწინააღმდეგის 10 მოპიკირე ბომბდამშენი.

ჩვენი ავიაგამანადგურებლები კაპიტან ჩუბუკოვის მეთაურობით, რომლებიც სახმელეთო ჯარებს იფარავდნენ, საერთო შეხვედრენ მოწინააღმდეგის ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების ჯგუფს. საბჭოთა მფრინავები საჰაერო ბრძოლაში ჩაებნენ და. გერმანელთა 9 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ქალაქ ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით ნენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგე განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ჩვენმა მებრძოლთა ხელთ იგდეს 15 ქვემეხი, 82 ტყვიამფრქვევი, 800 შაშხანა და ავტომატი, ბევრი ყუმბარა და ვაზნა. წამოყვანილია ტყვეები. ბრძოლის მსვლელობაში გაულეტილია ერთ ბატალიონზე მეტი გერმანელი ჯარი.

* * *

ქალაქ სტანისლავის აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის დიდი ძალების იერიშებს. გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი ორი მიმართულებით განუწყვეტლად აწვებოდნენ ჩვენს პოზიციებს. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა გაფთრებული ბრძოლები. საბჭოთა ქვეითები, ტანკისტები და არტილერისტები უკუაგდებდნენ ჰიტლერელებს და ანადგურებდნენ მის რიგებს. მარტო ერთ უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა გაულეტეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს და დაზიანეს 10 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. სხვა რაიონში ჰიტლერელთა ბატალიონი, რომელიც ჩვენი ჯარების განლაგებაში შემოიჭრა, გარშემორტყმული და სავსებით გაულეტილია.

მფრინავ მოიერიშეთა ჯგუფმა გვარდიის მაიორ მიხაილეჩკოს მეთაურობით იერიში მიიტანა რკინიგზის სადგურზე, რომელზედაც იმყოფებოდა ორი უშელონი გერმანელთა ჯარებიანად, ბევრი ვაგონი და სამხედრო მასალის დიდი შტაბელები. ჩვენმა მფრინავებმა მზის მბრიდან მოუფრინეს და მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად მიგდნენ სამიზნესთან. გერმანელებმა, რომლებსაც მოუმზადებელს მიუსწრეს, ვერ მოახერხეს საზენიტო ცეცხლის გაჩაღება. დაბომბვისა და ზარბაზანტყვიამფრქვევის დაშენის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა ბევრ ვაგონს და აფეთქდა სამხედრო მასალის შტაბელები. მალე მთელი რკინიგზის სადგური ცეცხლმა მოიცვა. ჩვენი თვითმფრინავები უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედმა რამდენიმე უკრაინულმა პარტიზანულმა რაზმმა სამი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 7 სამხედრო ეშელონი და დაგვრია 600 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი. მოწინააღმდეგის აღდგენითმა გუნდებმა ვაგონების ნამსხვრევებში ამოიღეს 200-ზე მეტი ჰიტლერელის გვამი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი კამენეც-პოდოლსკის ოლქის სოფელ პოდლესკში გერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ. „გერმანელთა ოკუპაციის განმავლობაში სოფლის მცხოვრებნი დეგნასა და უმაგალითო აბუჩად აგდებას განიცდიდნენ. ჰიტლერელებმა მოსვეხნა არ მისცეს არც ერთ ოჯახს, არც ერთ კაცს. მათ დაანგრიეს მთელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ყველაფერი დაამტვრიეს და გაანადგურეს. უკანდახვის წინ გერმანელებმა სოფლის მცხოვრებნი სადგურ ჩეტირბოგზე გარეკეს გერმანიის კატორღაში გასაგზავნად. გასამგზავრებლად იძულებულნენ მხოლოდ 15-20 წუთს. კარი-კარ ჩამოვლისას ჰიტლერელები ხერეტდნენ ავადმყოფ კოლმეურნეებსა და მოხუცებს. სადგურზე გერმანელებმა ბადრაგით მოიყვანეს მრავალი ათასი საბჭოთა მოქალაქე მთელი ოლქიდან და ვაგონებში შერეკეს. როდესაც საბჭოთა ჯარები სადგურს მოუახლოვდნენ, გერმანელებმა საშინლად ააწიოკეს მშვიდობიანი მცხოვრებნი. ორი ეშელონი საბჭოთა ადამიანებიანად ჰიტლერელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს, ხოლო ორ სარკინიგზო შემადგენლობას ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. დანარჩენი ეშელონების მოსაბმა გერმანელებმა ვერ მოაზერხეს. წითელი არმიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 90 ვაგონი, რომლებიც მთლად გაჭედილი იყვნენ საბჭოთა მოქალაქეებით, ათასობით კოლმეურნეთ თავისუფლება მიიღო და სამშობლო სოფლებში დაბრუნდა“. აქტს ხელს აწერენ: ანდრია სტაშენინი, ვეთოდე ჩიუბატიუკი, ანდ. კოზაჩუკი და გრიგოლ ტიხოლიუკი.

უკანასკნელი ცნობები

შესწყდა საფოსტო საჰაერო კავშირი ეირესა და საზღვაგარეთს შორის

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ეირეს ფოსტისა და ტელეგრაფის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სწყდება ეირეს საფოსტო საჰაერო კავშირი საზღვარგარეთთან.

დუბლინში ტამოცხადებულია აგრეთვე, რომ ნაოსნობა სამხრეთ ირლანდიასა და ინგლისს შორის სწყდება. დუბლინსა და ინგლისს შორის დარჩება მხოლოდ უაღრესად საჭირო მიმოსვლა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების ხელმძღვანელმა უარი სთქვა გერმანიაში წასვლაზე

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ მიღებული ცნობებით, გერმანიის საინფორმაციო ბიუროს განყოფილების ხელმძღვანელმა ანკარაში უარი სთქვა გერმანიაში დაბრუნებაზე და თურქეთის ხელისუფლებს სთხოვა—თავშესაფარი მომეცით, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტსო.

თურქეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაეკავოს რუმინეთის ორი გემი

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, თურქეთის მთავრობამ გადასწყვიტა სტამბოლში დააკავოს რუმინეთის ორი გემი „ტრანსილვანია“ და „ბესარაბია“ 7.000 ტონა წყალწყვისა თვითეული, რომლებიც ემზადებოდნენ შავ ზღვაში გასასვლელად. ამ გემებს თავდაპირველად იყენებდნენ მგზავრების გადასაყვანად და საქონლის გადასატანად და ამ მიზნით მიგიდნენ სტამბოლს.

მას შემდეგ, რაც თურქეთის მთავრობამ მიიღო ცნობები, რომ განზრახული ჰქონდათ ეს გემები სამხედრო ტვირთის გადასატანად გამოეყენებინათ, ორივე გემზე გავრცელებულ იქნა წესები დამხმარე გემების შესახებ, რომელთა გასვლაც სრუტეებში აკრძალულია მონტროში დადებული კონვენციით. გემებზე არიან თურქი მცველები, რათა თავიდან იცილონ გემების გაქცევა, მათ მოხსნეს მანქანების ნაწილები.

მოვაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში!

სანიმუშოდ ჩავაბაროთ საგაზაფხულო თესვა — მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი!

კალინინის ოლქის კრასნი ხოლმის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი პუტილოვეცის“ კოლმეურნეთა მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნის, ტრაქტორისტისა და აგრონომისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

შეესანიშნავი ცნობები მოდის ფრონტიდან. მშობლიური წითელი არმია ზედიზედ აღწევს გაძარჯვებებს, სწმენდს ჩვენს საბჭოთა მიწა-წყალს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. და ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი, ერთი საზრუნავი გვაქვს, რომ ჩვენი შრომით დავეხმაროთ ძლევამოსილ შეტევას ფრონტზე, დავეხმაროთ წითელ არმიას საბოლოოდ გაანადგუროს და მოსპოს საძულველი მტერი.

ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა გლეხობის თავდადებულ შრომას. იმ დიდ დახმარებაში, რომელსაც საოლქოურნეო სოფელი ფრონტს უწევს, ჩვენი მცირედი წვლილიც არის.

ჩვენმა კოლმეურნეობამ „კრასნი პუტილოვეცმა“ შარშან ყველაზე დიდი მოსავალი მოიყვანა რაიონში: თითო ჰექტარ ნათესზე საშუალოდ 16 ცენტნერი მარცვლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 ცენტნერისა, აქედან 21,7 ცენტნერი ჭვავი და 18,5 ცენტნერი ქერი. თითო ჰექტარ ნათესზე მოვიყვანეთ ექვს-ექვსი ცენტნერი სანაბეკოე სელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ცენტნერისა, და 5,46 ცენტნერი სათესლე სელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,4 ცენტნერისა.

მეცხოველეობის განვითარების გეგმა შესრულებულია მსხვილფეხა რქოსნი საქონლის სულადობის მხრივ 108,3 პროცენტით, ღორის —138,1 პროცენტით, ცხვრისა—109,6 პროცენტით. საფურაჟე ძროხის ნაწველი უდრის 1.470 ლიტრს—გეგმის 122,5 პროცენტს, თითო დედალორზე გამოზრდილია 22 გოჭი.

კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მტს-ის ნატურანაზღაურების მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფოს მივყიდეთ 3.900 ფუთი პური და 1.080 ფუთი კარტოფილი. ჩვენი ოლქის იმ კოლმეურნეობათა დასახმარებლად, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან, გადაცემულია 1.080 ფუთი მარცვლეული, 125 სული საქონელი.

უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის კარგი პროდუქტიულობისათვის მშრომელთა დეპუტატების კალინინის საოლქო საბჭოს აღმასკომის და საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩვენ შესანახად ჩავაბარეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის „გარდამავალი წითელი დროშა, რაც მიენიჭა ჩვენს ოლქს, რომელიც შარშან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისათვის სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა.

ჩვენ შევიკრიბენით საგაზაფხულო თესვის წინ და ყოველმხრივ განვიხილეთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესახებ. იგი ჩვენთვის, ისევე როგორც მთელი კოლმეურნე გლეხობისათვის, უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად ბრძოლის პროგრამას წარმოადგენს.

ეს დადგენილება ყოველ ჩვენგანს აღაფრთოვანებს, რათა კიდევ უფრო თავდადებულად იმუშაოს ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის.

მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდება და მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება—ასეთია მთავრობისა და პარტიის მიერ კოლმეურნეობებისათვის დასახული მთავარი ამოცანა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველ კოლმეურნეობას, თუ იგი სავსებით გამოიყენებს მთელ თავის ძალებსა და საშუალებებს და ერთსულოვნად იმუშავებს, სრული შესაძლებლობა აქვს, რომ წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მიიღოს.

ერთიანი სურვილით — ყოველმხრივ გაგაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი — ჩვენ გადაგწყვეტეთ მოგმართოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მოწოდებით — გავაჩაღოთ ყველა კოლმეურნეობის, ბრიგადის, რგოლის, ყველა კოლმეურნის სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, რათა უხვი სამხედრო მოსავალი მივიღოთ.

ჩვენი ვალდებულებები ასეთია:

1. 1944 წელს საშუალოდ ყოველ ჰექტარ ნათესზე მივიღოთ მარცვლეულ კულტურათა 20 ცენტნერი ზოსავალი, სანაბეკოე სელი 5 ცენტნერი და სათესლე სელი 7 ცენტნერი, კარტოფილი 170 ცენტნერი და ბოსტნეული 250 ცენტნერი.

2. უზრუნველვყოთ ყველა საგაზაფხულო კულტურათა დათესვა მაღალხარისხოვანი თესლით.

საგაზაფხულო კულტურათა მთელი სათესი ფართობი სავსებით უზრუნველყოფილი გვაქვს ადგილობრივ სუფთა ნაკეთესებით. ეს ნაკეთესები ადგილობრივ ბრიგადებში ადგილობრივ ადამიანთა ხელით ეწეოდა. ეს ნაკეთესები

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ რკინიგზის ტრანსპორტზე

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

18 აპრილს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შესდგა რესპუბლიკური თათბირი რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ. თათბირს დაესწრნენ: პარტიის იმ საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რომლებიც რკინიგზის ტრანსპორტს უწევენ მომსახურებას, სატრანსპორტო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა.**

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ამხ. მ. ბარამიამ.**

ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. მ. ჩუბინიძე.**

რკინიგზის ტრანსპორტის **როლი ჩვენს** ქვეყანაში განსაკუთრებით გაიზარდა სამამულო ომის დღეებში.

მაღალი შეფასება, რომელიც მისცა ამხანაგმა **სტალინმა** ტრანსპორტის მუშებსა და მოსამსახურეებს, ეხება ამიერკავკასიის რკინიგზის მუშებსა და მოსამსახურეებსაც. მისმა კომლექტივმა, აღზრდილმა დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **ბერიას** მიერ, ომიანობის დროის ვითარებაში უზარუნველჰყო გზის ყველა რგოლის ორგანიზებული და შეწყობილი მუშაობა.

ამხ. ჩუბინიძე თავის მოხსენებაში შეეხო რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადს საკითხებს.

მომხსენებელმა ილაპარაკა პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა პოლიტიკურად მომზადებულ, ენერგიულ, ინიციატივიან და ავტორიტეტიან აგიტატორთა კადრების შერჩევა. მოუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად აგიტატორებს არასწორად შეარჩევენ ხოლმე და მათ არ უწევენ დახმარებასა და კონტროლს. საჭიროა უფრო უკეთესად მოვაწყოთ აგიტსემინარების მუშაობა, სისტემატურად გავუწოროთ ინსტრუქტაჟი აგიტატორებს.

რკინიგზის ტრანსპორტზე ცოტა როდია ისეთი პარტორგანიზაცია, რომლებმაც შესძლეს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის სწორად დაყენება (თბილისის საორთქლმავლო დეპო, თბილისის სამგზავრო სადგური და სხვ.). ამავე დროს ცალკეული პარტორგანიზაციები (სამტრედიის საკონდუქტორო რეზერვი, შორაპნის საორთქლმავლო დეპო და სხვ.) ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული საველე სადგურების მუშაკებსა და ლიანდაგის მუშებს შორის. იანეთის, საჯავახოს (სამტრედიის რაიონი), რკვიის, სვირის, მარტოთუბნის, ძირულის, ბოსლევის (ზესტაფონის რაიონი) სადგურებზე საგიტაციო-მასობრივი მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი.

რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები და პარტკაბინეტები ყურადღებას არ აქცევენ საველე სადგურებში აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებს. მომხსენებელმა ამ მდგომარეობის საილუსტრაციოდ მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები მოიყვანა.

მომხსენებელი შეჩერდა მნიშვნელოვან მუშაობაზე, რაც რკინიგზის ტრანსპორტის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს ამხანაგ **სტალინის** წიგნის „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესასწავლად და გააკრიტიკა ნაკლოვანებანი ამ დარგში. ბევრ წრეში მეცადინეობას ლექციური მეთოდით ატარებენ. არასაკმარისია დახმარება პოლიტიკურ სწავლებაში. მაგალითად, ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პარტიის სამტრედიის რაიკომმა მხოლოდ ერთხელ მოაწყო სემინარი.

ამხ. ჩუბინიძე განსაკუთრებით შეჩერდა პარტიული კრებების გულმოდგინედ მომზადებისა და ჩატარების მნიშვნელობაზე.

ხშირად პარტორგანიზაციები სუსტ კონტროლს უწევენ და სათანადოთ არ ამოწმებენ თავიანთ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საჭიროა სამქროთა პარტორგანიზაციებისა და პარტჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება. ისინი ყოველდღიურად უნდა სწვდებოდნენ საამქროს, უბნის, ბრიგადის მუშაობას, თავის დროზე ამოქაჩავნებდნენ ნაკლოვანებებს და აღწევდნენ მათ სასწრაფოდ აღმოფხვრას, პრაქტიკულად და ოპერატიულად ეხმარებოდნენ ადმინისტრაციას გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ **ამხ.** ჩუბინიძე შეჩერდა ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციების ზრდასა და პარტიაში მიღებულთა აღზრდაზე.

მომხსენებელმა ილაპარაკა საქალაქო და რაიონული კომიტეტების ამოცანებზე რკინიგზის ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობის დარგში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მათ უშუალოდ მოჰკიდონ ხელი ტრანსპორტის ცალკეული რგოლების მუშაობას, იცნობდნენ თავიანთი რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სარკინიგზო მეურნეობას, გაძლიერონ ხელმძღვანელობა სატრანსპორტო პირველადი პარტორგანიზაციებისადმი.

თავისი მოხსენების დასკვნის ნაწილში **ამხ.** ჩუბინიძემ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობის მთელი რიგი მაჩვენებლები მოიყვანა და გააკრიტიკა მისი ცალკეული რგოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კერძოდ, არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ბრძოლა სადგურებსა და ვაგზლებზე წესრიგისათვის, მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტვირთის დატაცებას. გზის ყველა რგოლში სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა.

ამხ. ჩუბინიძე შეჩერდა რკინიგზელთა ძირითადს ამოცანებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ახალი ძალით გაიშალოს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, აუცილებლად სრულდებოდეს დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმები, ამაღლდეს მანევრირება, სანიმუშოდ იქნას მოვლილი გზა, უადარიოდ ვატაროთ და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ მძძრავი შემადგენლობა, მოვაგვაროთ კავშირგამბმულობის შეუფერხებელი მუშაობა, ავტობლოკირება და ისრების ცენტრალიზაცია.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — აღზრდილნი დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **ბერიას** მიერ, ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა უახლოეს დროსვე გარდაქმნან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ტრანსპორტზე და გადააქციონ ამიერკავკასიის გზა საბჭოთა კავშირის მოწინავე სარკინიგზო მაგისტრალად.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

სამტრედიის სადგურის პარტბიუროს მდივანმა **ამხ. მეფარიშვილმა** თავის გამოსვლაში ილაპარაკა სადგურის აგიტატორთა მუშაობაზე. ამ სამუშაოზე გამოყოფილი არიან მოწინავე ადამიანები: სადგურის მორიგე **ამხ.** ლორია, გადამბმელი **ამხ.** ზინჩენკო და სხვ. სადგურში ცვლების მიხედვით შექმნილია პარტჯგუფები. ეს ხელს უწყობდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

პარტიული რიგების ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის შესახებ თათბირზე ილაპარაკა ოჩაჩიძრის კვანძის პარტკომის მდივანმა **ამხ. ჯიქია.** პარტიაში ყველა მიღებული ასრულებს პარტიულ დავალებებს, რაშიც მათ ეხმარებიან პარტკომი და ადგილობრივი პარტორგანიზაციები. **ამხ.** ჯიქია შეჩერდა აგრეთვე კადრების პოლიტიკურ სწავლებასა და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე. მან ცოტა რამ სთქვა ნაკლოვანებათა შესახებ, მაშინ, როცა სწორედ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო ჯერ კიდევ ცუდად არის მოწესრიგებული მგზავრთა კულტურული მომსახურება.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი **ამხ. მაკელაძე** ლაპარაკობს დეპოს მუშაობის საწარმოო მაჩვენებლებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, **რომ** 46 აგიტატორი აქ ყოველდღიურად ეწევა მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას. მაგრამ, როგორც ეს აღინიშნა თათბირის მსვლელობაში, დეპოს ცალკეული მუშები, მათ შორის კომუნისტებიც, არღვევენ შრომის დისციპლინას, უშვებენ წუნდებულ პროდუქციას და ეს ამცირებს მთელი კოლექტივის მუშაობის ხარისხს.

იმის შესახებ, თუ როგორ ყურადღებას აქცევს საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი რკინიგზის პარტიული ორგანიზაციის ზრდის საკითხს, ილაპარაკა რაიკომის მდივანმა **ამხ. გაბუნიამ.** იგი შეჩერდა აგრეთვე მთელ რიგ მომენტებზე, რომლებიც ახასიათებენ სამტრედიელ რკინიგზელთა ბრძოლას ომიანობის დროის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის. მაგრამ რაიკომი მაინც ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას მგზავრთა კულტურული მომსახურების საკითხებს. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება და მათდამი დახმარება.

ბათუმის სადგურის პარტბიუროს მდივანმა **ამხ. ჯორბენაძემ** თათბირს გაუზიარა სადგურში მომუშავე აგიტატორთა დაწამკითხველთა გამოცდილება. რეგულარულად გამოდის სადგურის კედლის გაზეთი. ილაპარაკა რა სადგურის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, **ამხ.** ჯორბენაძემ აღნიშნა, **რომ** არის სამგზავრო ბილეთების ნორმის გადამეტებით გაყიდვის შემთხვევები. უკანასკნელ ხანს შექმნილია მატარებელში ჩასხდომის მოშწესრიგებელი ბრიგადები, გაუმჯობესებულია წესრიგი მატარებელში მგზავრთა ჩასხდომისას.

ფოთის სადგურის მოწინავე ადამიანთა მუშაობაზე შეჩერდა სადგურის პარტიული ბიუროს მდივანი **ამხ. მიქელაძე.** მან აღიარა, **რომ** სადგურში ჯერ კიდევ ცოტა როდია შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. დისციპლინის დამრღვევთა შორის არიან კომუნისტებიც. ილაპარაკა რა ნაკლოვანებებზე, **ამხ.** მიქელაძემ არაფერი არა სთქვა ტვირთის დატაცების შემთხვევებზე, რასაც ადგილი აქვს სადგურში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა **ამხ. საყვარელიძემ** ილაპარაკა პარტიაში საუკეთესო რკინიგზელების — ლენინელი მემანქანეების მისაღებად გაწეული მუშაობის შესახებ. მან დაასახელა სტახანოველთა გვარები, რომლებმაც რამდენიმე პროფესია აითვისეს, გააკრიტიკა მთელი რიგი ნაკლოვანებანი შორაპნისა და ზესტაფონის რკინიგზის კვანძების მუშაობაში. სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს რაიკომის სუსტი კონტაქტი რკინიგზის სამმართველოსთან. ხშირად პირველად პარტორგანიზაციათა მდივნები რაიკომის შეუტყობინებლად გადაჰყავთ ადგილიდან ადგილზე.

ილაპარაკა რა გზაზე ბოლშევიკური წესრიგის დასამყარებლად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, **ამხ.** საყვარელიძემ თათბირს მოუთხრო, რომ ჩატარებულ იქნა რაიონის პირველად პარტორგანიზაციათა მდივნების სპეციალური თათბირი ხულიგნობასთან, მექრთამეობასთან **და** დატაცებასთან ბრძოლის საკითხებზე.

სატრანსპორტო გაზეთ „სტალინური ლოკომოტივის“ მუშაობის გამოცდილება თათბირის მონაწილეებს გაუზიარა ამ გაზეთის რედაქტორმა **ამხ. გალდავამ.**

სუსტად მუშაობდა **ოჩამჩირის** ვაგონსარემონტო პუნქტი, სადაც შრომის დისციპლინის დარღვევის ბევრი შემთხვევა იყო. საქმეში გაზეთის ოპერატიულად ჩარევამ ხელი შეუწყო უბანზე მდგომარეობის გამოსწორებას.

ამხ. გალდავამ ილაპარაკა ადგილებიდან გაზეთში შემოსული სიგნალების შესახებ, და აღნიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს არ ეხმაურებიან გზის სამმართველოს სათანადო რგოლები. ეს მოწმობს შენიშვნების არასაკმაო სიმახვილეს და კრიტიკისა და თვითკრიტიკის დაბალ დონეს. შეეხო რა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, **ამხ.** გალდავამ შემოიტანა წინადადება მოწესრიგდეს აგიტატორთა საუბრების მოწყობა მუშათა მატარებლებში.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა, მოძრაობის 1-ლი რანგის გენერალ-დირექტორმა **ამხ. კიკნაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებათა გაუქმების შემდეგ მეტად გაიზარდა რაიკომების, კვანძის პარტკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა გზის ყველა რგოლის მუშაობის ხარისხისათვის.

შეჩერდა რა ამ მუშაობის მთელ რიგ მაჩვენებლებზე, **ამხ.** კიკნაძემ აღნიშნა, რომ რაიკომების მდივნებმა ჯერ კიდევ არასაკმაოდ კარგად იციან, თუ როგორ სრულდება ამა თუ იმ რაიონის სადგურებზე დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმები, ყოველთვის არსებითად როდი წვდებიან კვანძის საწარმოო საკითხების შინაარსს. ეს ნაწილობრივ ხელს უშლის მგზავრთა გადაყვანის დარგში დიდ ნაკლოვანებათა სწრაფ ლიკვიდაციას.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მგზავრებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები, უხეშობა. საჭიროა თვითეული სადგურის მუშაობა დავუქვემდებაროთ შეუსსუსტებელ საზოგადოებრივ კონტროლს.

ამხ. კიკნაძე შეჩერდა დამხმარე მეურნეობათა ამოცანებზე რკინიგზელთა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

მან განსაკუთრებით აღნიშნა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ამოცანები გზის კლიენტურის მიზეზით მოძრავი შემადგენლობის მოცდენის შემცირებისათვის ბრძოლაში.

გურჯაანის კვანძის პარტკომის მდივანმა **ამხ. მაისურაძემ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გურჯაანის დეპოს მოწინავე მემანქანეებმა ვნიშნელოვან შედეგებს მიაღწიეს სათბობის დაზოგვაში. გურჯაანელი რკინიგზელები გადამეტებით ასრულებენ დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების შემდეგ გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება, აღმოფხვრილია უწესრიგობა მატარებელში მგზავრთა ჩასხდომისას, დაწესდა სამგზავრო ბილეთების გაყიდვის ნორმა და ა. შ.

შავი ზღვის რკინიგზის ცალკეული უბნების მუშაობაზე თათბირის ყურადღება შეაჩერა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის სოფლო კომიტეტის მდივნის მოადგილემ ტრანსპორტის **დარგში ამხ. ცაგურიამ.**

უკანასკნელ დრომდე მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებდა სოხუმისა და კილასურის სადგურების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მთელი რიგი სახაზო სადგურების მუშაობას.

ამხ. ცაგურიამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც განხორციელებულია მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ აღიარა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებობს ბევრი სერიოზული ნაკლოვანება. არასაკმაო ყურადღება ექცევა კადრების შერჩევას გზის მთელ რიგ რგოლებში.

ნათლულის რკინიგზის კვანძის პარტორგანიზაციებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლის გამოცდილებაზე ილაპარაკა ნათლულის კვანძის პარტკომის მდივანმა **ამხ. ჯიშკარიანმა.** კვანძზე 70-მდე აგიტატორი მუშაობს. მათი შემადგენლობა გადასინჯულ და განახლებულ იქნა. აგიტაცია უფრო კონკრეტული და ქმედითი გახდა. პარტორგანიზაციები უფრო ოპერატიულად და არსებითად ეკრკვევიან საწარმოო საკითხებში. ილაპარაკა რა ტრანსპორტელთა ახალი კადრების მომზადებაზე, **ამხ.** ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ შარშან კვანძზე მომზადდა სხვადასხვა პროფესიის 400 მუშა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი **ამხ. ხუჯაძე** შეჩერდა ლენინის რაიონის მთელი რიგი სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობაზე ომიანობის დროის ვითარებაში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მე-4 და მე-5 სავაგონო უბნებმა. თბილისის სადგურმა რკინიგზაზე პირველი ადგილი მოიპოვა.

სუსტად მუშაობს სამგზავრო განყოფილების პარტორგანიზაცია. არ სწარმოებს სათანადო ბრძოლა შრომის დისციპლინის დამრღვევებთან.

ამას წინათ შესდგა პარტიული კრებები, რომელთაც განიხილეს ღონისძიებანი მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ილაპარაკა რა ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების შესახებ, **ამხ.** ხუჯაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოფიქრებულად, სწორად იქნას გამოყენებული დასჯის ზომები, გზისაკუთრებით ახალგაზრდა მუშაკთა, დაწინაურებულთა მიმართ.

თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში **ამხ. პ. შარიამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და თვითმოქმედება, გამოძებნონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის პირობების შესაბამისად. უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

ამხ. შარიამ თათბირის ყურადღება შეაჩერა პრესის ამოცანებზე ტრანსპორტის მიერ ომიანობის დროის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. გაზეთი უნდა იჭეს გამოცდილების გაზიარების ტრიბუნა. ამას ჯერ კიდევ ვერ მიაღწია, კერძოდ, სატრანსპორტო გაზეთმა „სტალინურმა ლოკომოტივმა“, რომლის მუშაობა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს.

ილაპარაკა რა პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის მტკიცე შეხამებაზე, **ამხ.** შარიამ აღნიშნა, რომ ცალკეული ამხანაგების, როგორც, მაგალითად, **ამხ.** მგელაძის, გამოსვლაში იგრძნობოდა ერთგვარი შეუთანხმებლობა ამ მხარეებს შორის. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თვითმიზანი როდია. იგი უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო დავალებათა შესრულების საქმეს. და იქ, სადაც შესუსტებულია პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, აუცილებლად გაუარესდება საწარმოო მუშაობაც.

აგიტატორთა საუბრები უნდა აიგოს ამა თუ იმ კოლექტივის ცხოვრების ყველაზე უფრო მწვავე, აქტუალურ საკითხებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთებს ტრანსპორტზე. ისინი უნდა გამოდიოდნენ რეგულარულად, ორჯერ მაინც თვეში. კედლის გაზეთების შინაარსსა და გაფორმებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება არსებობს. ხშირად მათში მრავალი შეცდომაა, დაოდენერადაა გაფორმებული, მათ აკეთებს ადამიანთა განსაზღვრული წრე, აქტივის დაუხმარებლად. კედლის გაზეთი უნდა იყოს მახვილი და გაბედულად აკრიტიკებდეს ნაკლოვანებებს.

შემდეგ **ამხ.** შარია შეეხო პარტიული კრებების როლს, რომლებიც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ თვითეული პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. ხშირად სწორედ კრებებზე გამოვლინდება კომუნისტის უნარი, თუ რამდენად მოწინავეა იგი, გამოვლინდება მისი პოლიტიკური აქტივობა. ხშირად პარტიული კრებების დღის წესრიგში შეაქვთ წვრილმანი, არააქტუალური საკითხები. პარტკრებები ჯეროვნად უნდა მომზადდეს. ზოგჯერ პარტკრებებზე გამოაქვთ ერცელი, ზოგადი გადაწყვეტილება, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ტრანსპორტის პარტორგანიზაციებისადმი. ამოცანა ის არის, რომ დავარაზმოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ძალები რკინიგზის მუშაობაში ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის. ომიანობის დროის სახელმწიფო დავალებათა განუხრელად შესრულება, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესება, რკინიგზის მეურნეობის ყველა რგოლში ბოლშევიკური წესრიგის დამყარება—პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა.

* * *

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დღეგეშები

ერკოლის განცხადება

ლონდონი, 19 აპრილი (საკადესი). რეიტერის საგენტო ნეაპოლიდან გადმოგვცემს, რომ იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერმა პალმირო ტოლიატიმ (ერკოლი) რეიტერის საგენტოს კორესპონდენტ სპრიგიანთვის 18 აპრილს მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„იტალიამ არ უნდა დაიგიწყოს, **რომ** იგი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი და ზარალი, რაც ფაშიზმმა მიაყენა იმ ხალხებს, რომელთა მიმართაც ფაშისტებმა აგრესიის საზიზღარი აქტები ჩაიდინეს. რათა მიიღოს მტკიცე და სამართლიანი ზავი, იტალიის ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა სთქვას აგრესიის პოლიტიკაზე სხვა თავიანუფალ და დამოუკიდებელ ხალხთა მიმართ“.

კორესპონდენტის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ეხამება იტალიელი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა კომუნისტების ინტერნაციონალურ პოლიტიკას მთელ მსოფლიოში, ტოლიატიმ განაცხადა: „იმათ, ვინც საბჭოთა კავშირს ბრალს სდებს ან ეშვი აქვს, რომ იგი ცდილობს ჰეგემონია მოიპოვოს ამა თუ იმ ქვეყანაზე, ვერაფერი ვერ გაუგიათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში და თვითონ ინტერნაციონალური ცენტრალური ფაშისტური პროპაგანდის **გავლენის ქვეშ“.**

პროფკავშირული მოძრაობისა და იტალიელი მუშების მისწრაფებათა გამო ტოლიატიმ განაცხადა: „ჩვენ აღტაცებული ვართ ინგლისელ მუშათა სამხედრო ღონისძიებებით ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენ რაც კი შეგვიძლია ყველაფერს გავაკეთებთ, იმისათვის, რათა იტალიის მუშათა კლასმა შესძლოს უფრო და უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა დამპყრობთაგან თავისი საკუთარი ქვეყნის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ომში. ხალხმა დიდი ენტუზიაზმით მოიწონა ჩვენი პოლიტიკური ნაბიჯი. ჩვენ ვიხმარეთ პირველი ენერგიული ღონისძიება, რათა გაგვეფანტა აზრი, თითქოს სამხრეთ იტალიის მოსახლეობა განურჩევლად ეპყრობა ომს. თუ მიიღებენ ჩვენს რჩევას და შეიქმნება ნამდვილი დემოკრატიული სახელდრო მთავრობა, მაშინ იტალიას მალე შეეძლება დიდი განძი შეიტანოს გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია“.

ამერიკის ნოტა შვეიცარიისადმი

ნიუ-იორკი, 17 აპრილი (საკადესი). როგორც გაზეთი „ჩიკაგო სანნის“ ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, შვეიცარიის საგგზავნილ ამერიკის ნოტაში ნათქვამია, რომ უადრესად მნიშვნელოვანია, რათა შვეიცარიამ გერმანიისათვის ბურთობსაკისარების მიწოდება შესწყვიტოს უახლოეს სამ თვეში. ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად ძლიერდება გერმანიის დამოკიდებულება არაოკუპირებული ევროპიდან მასალების მიწოდებაზე. ბურთობსაკისარების მიწოდებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გერმანიის ავიაციისათვის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკელებს ყოველდღიურად სიცოცხლის ფასად უჯდებათ. როგორც გადმოგვცემენ, შეერთებულმა შტატებმა შესთავაზეს შვეიცარიას მოამარაგონ იგი მნიშვნელოვანი მასალებით, აგრეთვე აუნაზღაურონ შვეიცელ მრეწველებს მთელი ზარალი, რაც შეიძლება მათ მოუვიდეთ გერმანიისათვის მიწოდებათა შეწყვეტისა და ნაცისტების შესაძლო რეპრესიათა შედეგად. დასასრულ ნოტაში აღნიშნულია, რომ, თუ შვეიცარია, მოლოდინის წინააღმდეგ, უარს იტყვის ამ მოთხოვნის შესრულებაზე, შეერთებული შტატები იძულებული გახდებიან მიიღონ აუცილებელი ზომები.

ინგლისის მთავრობა შეუერთდა ამერიკის ნოტას.

ბიულეტენი პრეზიდენტობის შეზღუდვა ინგლისში

ლონდონი, 20 აპრილი (საკადესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყება, **რომ** დიპლომატიურ ფოსტაზე ცენზურის შემოღების შემდეგ, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა შეზღუდოს დიპლომატების მგზავრობა ინგლისის საზღვრებშიც. ახალი განკარგულება მთავრობას უფლებას ანიჭებს არ შეუშვას დიპლომატები განსაკუთრებული სამხედრო ზონების ფარგლებში. დროებით უქმდება უცხოეთის დიპლომატების განთავისუფლება იმ წესებისაგან, **რომლებიც** დაკავშირებულია ღამით მოძრაობის აკრძალვასთან და სხვა შეზღუდვებთან **რომლებიც** უცხოელებს ეხება.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება ბალკანეთში

ლონდონი, 20 აპრილი (საკადესი). რეიტერის საგენტო იუწყება, **რომ** უკანასკნელ ხანს თვითმფრინავები, **რომლებსაც** ბაზა იტალიაში აქვთ, ოპერაციებს ეწევიან დუნაის წყლების დასანაღმავად. ამ ოპერაციების მსვლელობაში ჩაძირულია ან სერიოზულად დაზიანებულია გერმანელთა სულ მცირე 30 სამდინარო გემი. ბომბდამშენები მცირე სიმაღლიდან ტყვიამფრქვევებს უშენდნენ მოწიანაღმდეგის დუნაის ნაპირზე მდებარე ქალაქების საზენიტო არტილერია სუსტად ისროდა. ბუდაპეშტისა და ბუქარესტის რადიოს ცნობებით, ნაოსნობა დუნაიზე 17 აპრილს შეჩერებული იყო დანაღმვის **გამო.**

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ლონდონზე

ლონდონი, 19 აპრილი (საკადესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, **რომ** 18 აპრილს საღამოს ლონდონის რაიონში ხანმოკლე საჰაერო განგაში გამოცხადდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს ქალაქის რამდენიმე რაიონში, აგრეთვე ცენტრალურ საგრაფოებში. ფუგასური ბომბების აფეთქების შედეგად ლონდონის რაიონში არის ადამიანთა მსხვერპლი.

„ფრანკოს ესპანეთი გერმანიის მომარაგების ბაზაა“

ინგლისური ბიულეტენი იმ დახმარების შესახებ, **რომელსაც ფრანკო ჰიტლერულ გერმანიას უწევს**

ლონდონი, 19 აპრილი (საკადესი). ბიულეტენი „სპენშ ნიუს ლეტერი“ სწერს, **რომ** ფრანკოს ესპანეთი გერმანიის მომარაგების ბაზას წარმოადგენს ჯერ კიდევ 1939 წლიდან. იმ წლის ზაფხულში ფრანკოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან მიდიოდა რკინის მადანი, სპილენძი და სხვა სტრატეგიული მასალები, **რომლებითაც** ესპანეთი ჭიდარია. პორტუგალიას ესპანეთში სამზედრო მრეწველობისათვის გააქვს ნედლეული, რასაც შემდეგ ჰიტლერს უგზავნიან. ბერლინი უკვე აღნიშნავდა, **რომ** გერმანია ესპანეთის საექსპორტო საქონლის საუკეთესო მომხმარებელია.

შემდეგ ბიულეტენი აღნიშნავს, **რომ** ესპანეთის მრეწველობაში, **რომელსაც** ფრანკო უწევს კონტროლს, ბევრი გერმანელი ტექნიკოსია. არაფინ არ დაიჯერებს, **რომ** ისინი იქ გაგზავნილი არიან ესპანეთის სასარგებლოდ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჰიტლერელებს გერმანიიდან ესპანეთის ტერიტორიაზე გადაუაქვთ დიდძალი სპეციალური საგამოკვლევო ლაბორატორია, **რომლებიც** გერმანიის ტერიტორიაზე **რომ** დარჩენილიყო, შეიძლება დაებომბათ ინგლის-ამერიკის საჰაერო ძალებს.

გერმანიისათვის ესპანური და პორტუგალიური ვოლფრამის მიწოდება

ლონდონი, 20 აპრილი (საკადესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ცნობით, გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, **რომ** მალე მიიღონ ესპანეთიდან და პორტუგალიიდან, **რაც** შეიძლება მეტი ვოლფრამი. ვოლფრამის მადანი ჩრდილოეთ პორტუგალიის ერთ-ერთ სამადნოდან თვითმფრინავებით გაიაქვთ.

პორტუგალიის მეორე სამადნოდან, **რომელიც** ესპანეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობს, გერმანელთა მიერ გამოყენებულ ასობით ქალსა და ბავშვს ვოლფრამი კონტრაბანდულად გადააქვს ესპანეთის საზღვარზე. მადნიანი ტომრებიდან დატვირთული ცხენები განუწყვეტლივ მიმოდიან მთებში. არავითარი ეჭვი არ არის, **რომ** ეს კონტრაბანდა ესპანეთის ხელისუფალთა თანხმობით სწარმოებს.

თეატრებში

21 აპრილს: სახელმწიფო ოპერა—„ჰუგენოტები“. **რუსთაველის სახელობის** — „სალტარძლო აფეშით“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „პატიჩანები“. **სომხური**—„შემოსევა“. **გრიბოედოვის სახელობის** — „საგანგებო კანონი“.

კინოებში

21 აპრილს: რუსთაველი და ოქტომბერი —„ბაღდადელი ქურდი“. **დამკვრელი** — „მელოდე“. **სპარტაკი** — „ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“. **კომკავშირელი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „ორი მებრძოლი“. **26 კომისრის სახელობის** —„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი